საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/05/2026

MES 1 26 0000603595

გადაწყვეტილება

შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის თანახმად, ცენტრის მიერ დაწესებულებისგან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭო წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) 2026 წლის 13 მარტის №307535 წერილით მიიღო შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის საჩივარი. განმცხადებლის მიერ საჩივარში აღწერილი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და მტკიცებულებების მოძიება/გადამოწმების მიზნით, ცენტრმა მიმართა შპს ალტე უნივერსიტეტს 2026 წლის 01 აპრილის№390532 წერილით და სთხოვა ცენტრში წარმოედგინა საჩივარში აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით პოზიცია. აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულებამ 2026 წლის 02 აპრილის №2631 (ცენტრში რეგისტრაციის №430865, 14/04/2026) წერილით ცენტრში წარმოადგინა შესაბამისი მოსაზრებები თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

2.2. საბჭოს ზეპირი მოსმენა გაიმართა 2026 წლის 20 მაისს, რომელზეც საბჭომ დააკმაყოფილა ცენტრის შუამდგომლობა, შეწყვეტილიყო შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის მე - 8 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 20 მაისის №658672 სხდომის ოქმის №12 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
3. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 21 მაისს.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილის (დანართი №1) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ელექტრონული